„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ., სრულიად უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედაც.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში—„დროების“ რედაქციაში; ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მოსე ნათაძესთან; თელავში—ვანო როსტომაშვილთან; გორში—ალალო თუთაევთან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

იქვე და იმავე პირებთან, რომელნიც ზემოდ არიან გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ჟურნალს

„ივერიაზედ“

ვინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ჟურნალს «ივერიას», უნდა გამოგზავნოს წლის ხვედრი ფული შვიდი მანათი (სოფლის მასწავლებელთათვის ხუთი მანათი) „დროების“ რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ, въ Редакцію «Дроэба».

ვისაც უფრო ემარჯვებოდეს შეუძლიან «დროება» და «ივერია» ერთის წერილით დაიბაროს და ამისთვის ხვედრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს «დროებისვე» ადრესით.

რედაქტორი «ივერიისა» ილია ჭავჭავაძე.

## რედაქციისაგან

ჩვენის ძველის ხელის-მომწერლებისაგან ყოველ დღე მოგვდის საყვედური, რატომ ახალი წლიდამ გაზეთს აღარ გვიგზავნითო. ამ საყვედურის ასაცილებლად უნდა ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებს, რომ გაზეთს ვერავის ვერ გავუგზავნით,ვიდრე ყოველ წლის დამლევს გაზეთის მიღების სურვილს არ გამოგვიცხადებენ. ამას იმიტომ ვხადით საჭიროდ, რომ არავინ იფიქროს, ვითომც გაზეთის დაბარებას ძალად ვაკისრებინებდეთ ვისმე.

პატივის-ცემით ვაუწყებ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ ამ თავად-აზნაურობის კრება შესდგება პირველს მომავალს მაისს ამა 1885 წელსა.

თბილისის გუბერნიის კეთილ-შობილთ წინამძღოლი, გენერალ-მაიორი.

თ-დი დ. სუმბათოვი.

## შინაური ქრონიკა

=დეკემბრის უკანასკნელს რიცხვებში სამეგრელოს სამღვდელოების წარმომდგენელთ ჰქონიათ კრება დ. ახალ-სენაკში თავიანთ სასულიერო სასწავლებლის მდგომარეობასა და ვითარებაზე მოსალაპარაკებლად. კრების დაწყებამდე მის ყოვლად უსამღვდელოესობას იმერეთის ეპისკოპოზს გაბრიელს მიუმართავს დეპუტატებისადმი ორიოდე სიტყვით, რომლითაც განუმარტავს ძალა და მნიშვნელობა ზნეობრივის აღზრდისა, დაუსახელებია მიზეზი, რომელიც ასუსტებს ხალხში ზნეობას და სულიერს ძალას და მოუწოდებია სამღვდელოება, რათა ამ უკანასკნელმა მხნედ მოჰკიდოს ხელი სასულიერო და სამრევლო სკოლებს საზოგადოდ და კერძოდ სასულიერო სკოლებს. სკოლა პირდა-პირი საშუალებაა ერის დასუსტებულის ზნეობის აღდგენისათვის და სულიერის ულონობის ასახოცად. მხოლოდ ეს საგანი უნდა ჰქონდეს ამ გვარ სკოლებს საზრუნავად. ამიტომაც მიუქცევია ჩვენს მღვდელმთავარს სამღვდელოების ყურადღება ამ საგანზე და უთქვამს, რომ დინჯად და გულ-დასმით განიხილეთ სასწავლებლის საქმენი და სხვათა-შორის სახლის აშენების საქმეცაო.

დეპუტატთა კრებას ბევრი სხვა-და-სხვა საგანი განუხილავს, ბევრს სხვა-და-სხვა საგანზედ ჰქონია მსჯელობა, მაგრამ გაზ. „მწყემსი“, რომლიდგანაც მოგვყავს ჩვენ ეს ცნობა, ამ კრებაზე ამბობს რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, აქ ამ საგნების მოყვანა არ შეიძლებაო. სახლის აშენების შესახებ კრებას გადაუწყვეტია, რომ „შესდგეს კომისია ხუთი სამღვდელო პირისაგან, რომელთაც უნდა იშუამდგომლონ ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის წინაშე, რათა სამეგრელოს სამღვდელოებას მოხმარდეს სასწავლებლის სახლის ასაშენებლად სემინარიისათვის გადადებული ფულები, რადგანაც სინოდს უარი განუცხადებია საშუალების უქონლობისა გამო სემინარიის დაარსებაზე ქ. ქუთაისში. ეს გადაწყვეტილება სამეგრელოს სამღვდელოებისა ბევრად დაალონებს ყველა ჭეშმარიტს მოყვარეს განათლებისას საზოგადოდ და ქ. ქუთაისში სემინარიის დაარსების მომხრეთ—კერძოდ. ეპისკოპოსმა გაბრიელმა ურჩია სამღვდელოებას, რომ მას სესხად აეღო უწ. სინოდისაგან 30,000 მან. ამ საქმისათვის, მაგრამ სამღვდელოებამ არ შეისმინა ეს რჩევა და ამით ბევრი ავნო თვით სემინარიის დაარსების საქმესაც მომავალში, რადგან, თუ სამღვდელოებას დღეს უარი უთხრეს, საშუალება არა გვაქვს, მომავალს სემინარიას შეეწიოთო, შეიძლებოდა რამდენსამე წლის შემდეგ აღმოჩენილიყო ეს საშუალება; სამღვდელოებამ მაინც-და-მაინც სემინარიისათვის გადადებული ფული ხელ-უხლებლად უნდა დასტოვოს...

«დროების» ფელეტონი, იანვრის 9-ს

## ღვთის რისხვა

### ოსური ლეგენდა *)

### I

შემოზღუდული გარშემო მაღალ თოვლიან მთებით და განშორებული ყველა გარშემო სოფლებიდამ, ოსების სოფელი თიბი ამ რამდენიმე წლის წინად წარმოადგენდა მიყრუებულ პატარა საბატონოს, რომელშიაც მოთავედ ითვლებოდა ჰიყო ტოტოშვილი. შუა სოფელში გაშენებულნი იყვნენ მაღალნი კოშკნი, რიცხვით თოთხმეტამდე და ერთ მათგანში, რომელიც მკვიდრ გალავნით იყო შემოზღუდული, სცხოვრებდა თვით სამეფოს მოთავე ჰიყო ტოტოშვილი. სამეფოში ხალხი არ იყოფებოდა სხვა-და-სხვა წოდებად, ყველა თანასწორი იყო, სცხოვრებდა და სულდგმულებდა ერთის ადათებით, ჩვეულებებით.— აქ ყველანი ჰიყო ტოტოშვილისაგან დაწყებული უკანასკნელ ქალამდე, იკვებებოდენ ქერის პურით (ყაბარ-ქარჯინა). ძმობა, ერთობა და სიყვარული შეადგენდენ დიდ მოვალეობას ხალხისას, მაგრამ ძმობაზე შედარებით უფრო მაღლა იდგა სისხლის-ძიება! გინდ ნათესავი ყოფილიყო, თუნდ ახლო მეგობარიც—ეგ სულ ერთია: სისხლი მაინც უნდა აღებულიყო! არაფერი უშველიდა ამისთანა კაცს; შეეძლო მხოლოდ ეხმარა ერთად-ერთი საშუალება თავის დახსნისათვის: აზრაგად (ყაჩაღად) გავარდნილიყო.

ჰიყო ტოტოშვილი თითქმის ყოველთვის თავის ხალხით ქარჯინით იყო ხოლმე კმაყოფილი, მაგრამ დღეს კი მის კოშკში გაშლილია მშვენიერი სუფრა, რომელზედაც ერთი-ერთმანეთზე იცლებიან ლუდით სავსე ჯიხვები და არაყის „სიკები“; თითქმის ყოველთვის ჰიყო ტოტოშვილის კოშკი გარემოცულია რალაც გრძნეულის იდუმალობით, დღეს კი როგორღაც გაცხოველებულა კოშკიდამ გამოისმის ოსური სიმღერები და საკრავების ხმა. კოშკის კარებთან მრავლად არიან შეკაზმული ცხენები; მოსამსახურეთა ბრბო შერბის და გამორბის, სტუმრები დაუსრულებლივ ყაყანობენ...

ჰიყო ტოტოშვილის კოშკში დღეს ქორწილია; ჰიყომ მიათხოვა თავისი თხუთმეტის წლის ქალი, მშვენიერი ზანო, ნოგყავის ალდარის შვილს სავის. სავი დაინიშნა ზანოზე აკვანშივე და ეხლა, როდესაც პირველი შეიქმნა ჩვიდმეტის და მეორე თხუთმეტის წლისა, მათ გაიჩაღეს ოსური ქორწილი. სავის უყვარდა ძალიან ზანო და ზანოს—სავი... ამიტომ არ დაიზარა სავიმ გარდაეხადა ჰიყო ტოტოშვილისათვის ირადში: ოც-და-ათი ძროხა, სამი ცხენი, ხუთასი ცხვარი და მრავალი ვერცხლეულობა—თითქმის მთელი თავისი სარჩო...

მშვენიერი იყო ზანო... მისი ლოყები ვარდისფრად ყვაოდენ; მისი თვალები, ეშხით სავსენი, უეჭველად და უნებლიედ მიიზიდავდენ კაცის გულს და მისი გიშმაშური კისკისი და გრძელი თმები მოაგონებდენ კაცს მთის მავნე სულს. თითქმის სიყმაწვილიდგანვე მას ბედად ხვდა, როგორც ყველა ქიზგებს, მწყემსობა. მშვენიერი ზანო დილით საღამომდე აძოვებდა ხოლმე ახლო-მახლო მთებზე თავის მამის ციკნებს... თოთხმეტი წელიწადი გაატარა ზანომ ამწვანებულ სერებზე!... მან დიდი-ხანია იცოდა, რომ აკვნიდგანვე ეკუთვნის ნოგყავის ალდარის შვილს სავის და, აი, დილით საღამომდე სულ თავის საქმროზე ოცნებობდა. ხშირად თავს

*) ლეგენდა დაკავშირებულია ნამდვილს ისტორიულს ფაქტთან, რომელიც 1830 წლებში მომხდარა. სოფ. თიბისა და მის ისტორიის შესახებ ჩვენ შემდეგში მოველაპარაკებით მკითხველებს, სანამ-კი მოგვყავს მოკლე ცნობანი: ოსების სოფელი თიბი იმყოფება მამისონის ხეობაში და გარშემო შემოზღუდულია მუდამ თეთრ-სავანით შებურვილი მთებით. სოფელში შესვლა თუ არ ივლისში, ყოვლად შეუძლებელია, ასე რომ თიბი ჯიანჭველების სადგურს მოაგონებს კაცს. სცხოვრობს ამ სოფელში ოსების ერთი ტომთაგანი, მამისონელნი, რომელნიც ძველ დროში განთქმულნი იყვნენ თავიანთ ძალ-ღონით. მათ სახელს პატივის-ცემით იხსენიებენ მაშინდელნი ისტორიკოსნი. განგებამ დანიშნა კავკასია ერთად-ერთ კარად, რომლის შემწეობითაც ძველნი ხალხნი აზიიდამ ევროპაში შედიოდენ. მამისონელნი, როგორღაც მოხდა, და შევიდენ იმისთანა ბუნების სიმაგრეში, როგორიც არის სოფ. თიბი და იქ დარჩნენ აქამომდე. რა ისტორიულ გარემოებათა გამო შეეფარა ეს ხალხი მოხუცებულ მთების კალთას, ამას ჩვენ ვერ ვიტყვით და თვით ხალხსაც აღარ ახსოვს.

ლიახველი.

ტოვოს და, თუ შეუძლიან, უმატოს კიდეც ცოტ-ცოტაობით.

ბოლოს კრებას გადაუდვია 300 მან. ქართული საეკლესიო გალობის საკუთარი მასწავლებლის დასაქირავებლად და განუხილავს ხარჯთა-აღრიცხვა მომავალის წლისათვის, რომელიც თითქმის შეუსწორებლივ დაუმტკიცებია. დასასრულ ზედამხედველისათვის ბ. გრიშნოისათვის გამოუცხადებიათ მადლობა, რადგან მას წარსულის წლის განმავლობაში 3,000 მან. დაუზოგნია და გადაუნარჩუნებია სახარჯო-ვალისათვის..

— ძლიერმა სიცივემ მთელი თბილისის ქუჩები გაჰყინა. ყოველ ქუჩაზედ შეხვდებით საცოდავს ცხენებს, რომელთაც ფეხი ველარ მოუკიდებიათ ყინულზედ და მძიმედ დატვირთულნი უწყალოდ ეცემიან და გვერდებს იმტვრევენ.

გასაკვირველია, რომ ამ საგანს არავითარს ყურადღებას არ აქცევს არც ქალაქი, რომლის მოვალეობაც არის გზების შეკეთებას თვალყური ადევნოს და არც ,,პირუტყვთ დამფარველი საზოგადოება'', რომელიც უბრალო პროტოკოლების წერაზედ იმდენს დროსა ჰკარგავს. რა არის იმაზედ ადვილი, რომ ამ გვარის გაჭირვების დროს, აღმართებში და მისახვევ-მოსახვევ ადგილებზედ ქვიშა მოეყაროს და ამით რამდენიმე პირი გალატაკებისაგან გამოიხსნას. ვგონებთ ეს საშუალება არც ისე ძვირად დაჯდებოდა, რომ ქალაქს ხარჯი აფრთხილებდეს.

— გარჩევა ბ. ყორღანაშვილის საქმისა, რამდენიმე მოწამის მოუსვლელობის გამო, გადადებულ იქმნა სხვა დროისთვის.

— ხევიდგან გვატყობინებენ, რომ ხალხი უქირაობის გამო დიდს გაჭირვებაში არისო; მეტადრე, ისინიო, იწერებიან იქიდამ, ვინც განსაკუთრებით ამ საქმეს მისდევსო. ამ ჟამად მრავალი ცარიელი ურმები სამუშაოდ თბილისისაკენ წავიდენო.

— ჩვენ შევიტყვეთ, რომ არითმეტიკის შემადგენელს, ბატ. მიხეილ ყიფიანს, ეხლა გეომეტრიის სახელმძღვანელო შეუდგენია და ბატ. პ. თ—სათვის გამოუგზავნია დასაბეჭდად.

— გაზ. ,,ნოვ. ობოზ.'' სწერენ ოზურგეთიდამ, რომ სემინარიის დაარსების საქმე ქუთაისში კვლავ განცხოველდაო და ადგილობრივ მცხოვრებლთ მოუმზადებიათ თხოვნა, ხელმოწერილი მრავალ პირთაგან მთავრობის წინაშე წარსადგენადაო. ქაღალდში მოხსენებულია სხვათა შორის ის მიზეზები, რა მიზეზებითაც მცხოვრებელნი შუამდგომლობენ ამ საქმის გამო: პოლიციის ცნობათაგან სჩანს, რომ ქუთაისის გუბერნიაში სულ მცხოვრებთა რიცხვი შეადგენს 685,739 სულს მათ შორის იმერლები და გურულები 369,372, მეგრელები 167,565 და სვანები 11,878. დანარჩენნი შეადგენენ სხვა-და-სხვა ტომსა და სარწმუნოების ხალხს. მათ შორის რუსებ 1,158 არიან, ბერძნები 29, ოსები 92 და სხვ. სულ მართლ-მადიდებელთა რიცხვი 553,899. ამ სახით 553,899 მცხოვრებს ჰსურს მისცეს თავიანთ შვილებს შეძლება ადგილობრივ ისწავლონ, რადგან მშობლებისთვის უფრო ადვილია და მოსახერხებელიც ქუთაისში ჩავიდენ, ვიდრე თბილისში, სადაც ჩასვლა რკინის გზით ჰღირს თითო კაცისთვის 4—10 მანათამდე. ამას გარდა თბილისის სემინარიაში ყველას არ იღებენ სახემწიფო ხარჯით და ამის გამო საჭიროა თავიანთ შვილებისათვის სახლის პატრონები იშოვონ და თვეში 8—12 მ. აძლიონ — ტანისამოსის გარდა. ესეც რომ არ იყოს, მშობლები ისე მოშორებულნი არიან თავიანთ შვილებზე, რომ ვერაფერს ამბავს ვერ იტყობენ, ვერც კარგსა და ვერც ავსა; მაშინ, როდესაც, სემინარია, რომ ქუთაისში იყოს, სულ შორი მხრიდამ კაცს ქუთაისში ჩასვლა დაუჯდება 1 მან. 50 კ.—2 მანეთამდე. სახლს იქ დაიჭერს 2 მანეთს 50 კ.—5 მან. ყველა ამას გარდა, მშობელს მუდამ თვე შეუძლიან შეიტყოს თავისი შვილის მდგომარეობა.

— ზემო იმერეთშიც გაჩენილა ამ მოკლე ხანში ყვავილი. თუმცა ჯერ ამ სენს ზარალი არავისთვის მიუცია, მაგრამ მაინც საჭიროა ეხლავე ყურადღება მიექცეს.

— სულ უბრალო შემთხვევის გამო ქუთაისის მაზრის ერთ სოფელთაგანში, სახელდ. ნახშირის ღელეში ჩიბუხის ცეცხლით გადამწვარა, როგორც ერთი გლეხის სახლ-კარი, ისე ტყეც, რომლითაც მთელი სოფელი სარგებლობდა.

— სამეცნიერო აკადემიის შესახებ ჩვენ ოროოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ აქ. ამ აკადემიის, როგორც სჩანს ვ. ტიზენგაუზენის შენიშვნიდამ, (გაზ. ,,ნოვ. ვრემია''), სრულებით არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული აზიურს მუზეუმზე და იმ განყოფილებაზე, რომელიც აღმოსავლეთის შესწავლისათვის უნდა ზრუნავდეს. ამ განყოფილებამ დაჰკარგა საუკეთესო მცოდნენი აღმოსავლეთისა, როგორც, მაგ. შიფნერი, ბროსე და მასუკან, როგორც მუზეუმი, ისე საზოგადოდ აღმოსავლეთის განყოფილება სრულიად უპატრონოდ არის დარჩენილი. აკადემია არამც თუ ახლებს არავის იღებს თავის შორის, არამედ იმათაც არ ეკიდება რიგიანად, რომელნიც იყვნენ აკადემიაში, რის გამოც იძულებულნი შეიქმნენ მიეტოვებინათ აკადემიკოსის წოდება.

---

## კახეთის ავი და კარგი.

ახალ-სოფელი (ძველი ბავაზი) მდებარეობს ალაზნის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრივ «გაღმა მხარეში».

ეს ტურფა სოფელი კავკასიის მთის კალთის ძირზედ ხელის გულივით ვაკეზე არის გადაჭიმული; სოფელი უფრო სიგძეზედ არის გაშენებული; შუაგულზედ სოფელს ფართო და სწორი მოკირწყლული გზა-ტკეცილი ასდევს, რომელსაც აქეთ-იქით ნაპირებში ალვის ხეები აქვს ჩაწკაპული და სახლებიც რიგზედ ჩარიგებული. შუა სოფელზედ დაქანებული მოჩქრიალობს მკვირცხლი მდინარე ,,შორეხევის'' ტოტი, რომელზედაც მრავლად არის წის-ქვილები დამართული. აქაური ღვინო ისე გამოჩენილი და საქები არ არის სიმაგრით და გემოთი (მეტადრე გაზაფხულამდინ), როგორც დალოცვილის კახეთის სხვა სოფლებისა, მაგრამ სამაგიეროდ აქ, რო-

---

დაანებებდა ხოლმე წინდის ქსოვას და რომელიმე სერის წვეროდგან გასცქეროდა იმ მხარეს, სადაც იმყოფებოდა სოფელი ნოგყავი და მისი საყვარელი სავი. მისი შავი ფიქრების ღელვა ესმოდა მხოლოდ მშვენიერ არე-მარეს,...

ზანოს უყვარდა სავი და, აი, ის დღე, რომელზედაც იგი რამდენიმე წელიწადი ჰფიქრობდა; ის სანატრელი სურვილი, რომელიც არ ასვენებდა და აღიზარდა მის სიყმაწვილესთან, დღეს აღსრულდა და ყიყო ტოტოშვილის სახლში ქორწილი იყო გამართული...

II

Не все судьба голубитъ насъ,
Всему—свой день, всему—свой часъ!...
Лермонтовъ.

— მაშ სწორედ შეიტყე, ფაკო, რომ გიაურებს ჰსურთ დაიპყრან თიბი?

— როგორ არა, შენიჭირიმე, ეუბნებოდა ფაკო, გუშინ ამოვედი ცხინვალიდამ, ჩემ სახლობას პური აკლდა და საყიდლად ჩაველი და იქ ამბობდენ, ჯარები მოდიან კიდეცაო, უეჭველად თიბის ციხეები უნდა დაანგრიონო!

— და მერე საიდგან ჰფიქრობს ჯარი ჩვენს სოფელში შემოსვლას? სიცივით ხომ ყველანი დაიხოცებიან? ან ზარბაზნებს საიდამ აიტანენ მთების წვერებზე, როდესაც მთები ეხლა ყინულით არიან გასიპულნი?!

— რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე, მაგაზე არა გამიგია-რა; ძალიან მეშინოდა ქართველ თავადებისა: არ დამიჭირონ და ჯარების ხელში არ ჩამაგდონ-მეთქი და საჩქაროზე დავადექი ჩემ გზას...

— მე მგონია, ჩაერია ლაპარაკში ყიოს შვილი ფირუზა, ჯარებმა ბევრი არა დაგვაკლონ-რა, რადგანაც საშიშარნი არიან მხოლოდ ზარბაზნებით და მათი ამოტანა კი მთებზე ყოვლად შეუძლებელია...

— დიაღ, ფირუზა მართალს ბრძანებს! დაიძახა ერთად რამდენმამე ხმამ, —სჯობია, ჩვენ ეხლავე ყველაფერი დავამზადოთ და ღირსეულად დავუხვდეთ გურჯისაგან მოწვეულ სტუმარს!...

ამ გვარ ბაასში იყო გართული თიბის საზოგადოება, რომელიც შეიყარა ყიყო ტოტოშვილის კოშკში, რადგანაც იგინი შეაშინა ფაკო ტოტოშვილისაგან მოტანილმა ამბავმა, გიაურების გამოლაშქრებაზე თიბის წინააღმდეგ. ხანგრძლივის ბაასის შემდეგ თიბელებმა გარდასწყვიტეს შეძლებისამებრ დაიცვან თავიანთი ადგილი უწმინდურებისაგან.

ფაკოს სიტყვები გამართლდენ; სამი დღის შემდეგ რუსების ლაშქარი მოუახლოვდა თიბს და დაბანაკდა დონიფაზის მინდორზე. ცივი ღამე იყო: გიაურების ჯარი გარშემო შემოუსხდა ცეცხლებს და ჯარის კაცნი ებაასებოდენ ერთმანეთს კავკასის დიდებაზე, მის დიდროვან მთებზე და თავისუფლებისათვის თავ-განწირულ მთიელებზე...

შეცრად მოისმა შორი-ახლოდამ ცხენის თქარა-თქური... ყარაულები მაშინათვე ფეხზე წამოხტენ და ცოტა ხნის შემდეგ მტრად მოსულების ბანაკში შემოვიდა ყმაწვილი ჩოხა-ჩაცმული ბიჭი, რომელსაც ცხადად ეტყობოდა, რომ ოსი იყო.

— რა გინდა, რისთვის მოხვედი? მიუბრუნდა და ჰკითხა მას ერთმა ქართველთაგანმა, რომელიც ჯარში იმყოფებოდა.

— არაფერი, ისე გიახელი, შენი ჭირიმე; მინდა რამე შემწეობა აღმოვუჩინო ამ ჯარებს, რომ თიბი ადვილად დაიპყრან... მე გახლავართ შვილი ყიყოსი და თიბს აგაღებინებთ ერთის პირობით: მე მიყვარს ერთი თიბელი ქალი, გთხოვთ მაჩუქოთ!

— რა ჩვენი შემწეობა გინდა, უთხრა ქართველმა, შეგიძლიან შეირთო?

— არ შემიძლიან, შენი ჭირიმე, უპასუხა ოსმა, მამაჩემი ყიყო ნებას არ მაძლევს! მე გასწავლით გზას და თიბს ადვილად აიღებთ. წინამძღოლი დაჰპირდა ყიყოს შვილს ფირუზას, რომ მისცემს იმ ქალსაც და მრავალს საუნჯესაც, თუ დაპირებას აღუსრულებდა...

ცოტა ხნის შემდეგ აიშალა ჯარი და წაჰყვა ყიყო ტოტოშვილის-ძეს ფირუზას. ღამე იყო ცივი, მაგრამ მშვენიერი: ცა შეჭედილი იყო მრავალი ვარსკვლავებით და მაღლიდამ დასცქეროდა დიდებულ კავკასს. მთა კადა-ხოხი, რომელიც წინა დღეს შემოსილი იყო შავ ღრუბლებით, ეხლა ვერცხლისფრად ბრწყინავდა მთვარის შუქისაგან..! კადა-ხოხის წვერზე იმყოფება ტბა, რომელიც ეხლა გაყინული იყო და რომელზედაც უნდა გადაეარნათ ჯარის რაზმებს და დაენგრიათ თიბი, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა ამბავი თბილისში, რომ ჯარი სრულიად დაიღუპა მრწოს ტბაშიო *) და ყიყო ტოტოშვილის-ძე ფირუზა, რომელსაც გზა უნდა ეჩვენებინა კარისთვის, უკვე დაჭერილ იქმნა თიბელებისაგანაო...

ნამდვილი მიზეზი ლაშქრის დაღუპვისა აქამომდე საიდუმლოდ არის დარჩენილი, დამარხული ოსეთის მთათსავანეებში...

(დასასრული იქნება)

*) ნამდვილი ისტორიული შემთხვევა.

ავტ.

გორც ღვინის, ისე ყოველ-გვარი ჭინახულის უხვი მოსავალი იცის.

აქ ითვლება მცხოვრებლების რიცხვი ოთხას კომლამდინ, სულ გლეხობა. ყველას თითქმის ქვითკირის სახლები უდგიათ, ქვითკირისავე გალავნით, ზოგს თავისი ციხე დარბაზიცა აქვს; შენობის აშენებლებს არ დავიწყებიათ მიეცათ შენობებისათვის ძველებური, ქართველური გემო, იმ ანდაზის ძალით, რომელიც ამბობს: „მამხტურს დამხდური უნდაო". არათუ ციხე-გალავანს—თითოეულ სახლსაც კი სათოფურები აქვს დატანებული. ყველა ეს შენობანი, უკანასკნელ ქოხიდგან დაწყებული დიდ ციხე-გალავნამდინ, წარმოადგენენ საომარ, მტრის საწინააღმდეგოდ აგებულ სიმაგრეებს;—და აუცილებელიც იყო ამ სოფლისათვის ამ გვარი თავდარიგის დაჭერა, რადგანაც ეს სოფელი კარები არის (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ) მთელი ლეკეთისა: ცოტა ჩოჩქოლი მოხდებოდა თუ არა—სულ მუსრს ადენდენ ლეკები აქაურობას.

ნურას ვიტყვით შამილის დროზე,—ავიღოთ თუნდ წარსული 1877—78 წ. ომიანობა. ზუნდ-გუნდად ჩამოხვეწილი ლეკები, როგორც აფთრები, ისე ეცემოდენ ამ ერთ-მუჭა შეკუმშულ ხალხს. რასაკვირველია, ძნელი იყო უვნებლად იმათი მოგერება; ისე რომ არა წაეტაცნათ რა, ან ქართველების სისხლი არ დაელვარათ, მაგრამ არც ლეკნი რჩებოდენ უვნებელნი: არა-ერთი ასი და ორასი ლეკი ეთხოვებოდა საუკუნოდ წუთის სოფელს და სტოვებდა თავის ლეშს იქ საცა ჩვენი მამა-პაპის სისხლიც გმირულად ილვრებოდა.

ამდენი გაჭირვების გადამხდელნი მცხოვრებელნი დღეს წინანდებურად შეძლებით ველარ სცხოვრობენ, და თან-და-თან უკან მიდის მათი მდგომარეობა ეკონომიურის მხრით... აქ დაასახლეს საჩარნისში, სულ ორი ვერსის მოშორებით ამ სოფლიდამ; გადმოსახლებულნი ორმოც კომლამდინ (კომლზედ ხუთ-ხუთი დესეტინა მისცეს)...

მაგრამ არც თვით გადმოსახლებულთათვის შეიქნა სასარგებლო აქ ჩამოსახლება: აქაურმა ჰავამ დედობის მაგიერად დედინაცვლობა გაუწია ჩამოხიზნულებს, დაერია შხამიანი ციებ-ცხელება და ორმოც კომლში ჯერ-ჯერობით მხოლოდ ხუთი კომლი-ღა გადარჩა მშვიდობით. ზოგიერთებმა მიატოვეს კიდეც აქაურობა და გაიქცენ; მაგრამ ეს დანარჩენი ხუთი კომლი ნამდვილ ბატონად ჰყავთ გადაქცეული ახალ-სოფლის გლეხობას... და ართმევენ ღალას, როგორც ნამდვილი მებატონე-მემამულენი... ამ საგანზედ შეიტანეს აქაურმა გლეხებმა საჩივარი სახაზინო მამულების გამგებელთან, რომ ხუთ კომლ ჩამოსახლებულთ მიეცეს ხვედრი მიწები (კომლზედ ხუთ-ხუთი დესეტინა) და დანარჩენნი ისევ საზოგადოებას დაუბრუნონ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სახემწიფო ქონებათა გამგეობა მიიღებს პატივდებაში ახალ სოფლის საზოგადოების სამართლიანს თხოვნას და დაუბრუნებს საზოგადოებას ისევ იმ მიწებს...

×

მეორე მიზეზი აქაური გლეხობის უკან დაწევისა და სიღარიბისა ის არის, რომ აქაც გაუმართავთ ორიოდე დუქანი...

ყველასათვის ცხადია (უმეტეს ნაწილ გლეხობის გარდა) რომ ახალის კანონის ძალით გლეხს არა აქვს უფლება სახაზინო—საზოგადოების მიწა ან გაყიდოს ან დაუგირაოს ვისმე, მაგრამ სხვა-და-სხვა გაიძვერანი იძენენ აქ უძრავ საკუთრებას და ისე ბინავდებიან, თითქო მამა-პაპით აქაურები არიანო.

აი მაგალითი ამ სამიოდ-ოთხი წლის წინად აქ მოვიდა ერთი ნახჩევნელი ოჰანეზა ბ—ი; მოსვლისათანავე დაუახლოვდა უფრო მსუქან გლეხებს, სხვა-და-სხვა „ნათლიმამობის" წყალობით და გახსნა ერთი პატარა სავაჭრო დუქანი. ამავ დროსვე გადაეკიდა ორს მომიჯნავე გლეხებს (გიორგი მკაჭავიშვილს და იაკობ სეფისკვერაძეს), რომ ერთი სამიოდე საქცევი ეზო მიწა დამიგირავეთო: „მინდა ერთი სხვანაირი ყვავილები გავაკეთოვო"; იქამდინ შეუჩნდა გლეხებს, რომ სიგანით პირველს შვიდი, და მეორეს სამ ნახევარი—ხოლო სიგძით ორმოც საჟენამდინ სამოსახლო ეზოს მიწა, ხუთ-ხუთ თუმნად დაიგირავა. პირობა ისეთი იყო, რომ, როცა გლეხი თავის ხუთ თუმანს მისცემდა, ნახჩევნელ მოვაჭრე ო—ას ადგილი უნდა დაეტოვებინა მეპატრონე გლეხისათვის. გლეხთა და ოჰანეზას შორის პირობის წერილი იყო მოხსენებული თვითოეულ ქაღალდში, რომელიც ოჰანეზას ჰქონდა შენახული—„როცა ჩემ ფულს, ხუთ-ხუთ თუმანს ჩამაბარებთ, მაშინ პირობის ქაღალდსაც მოგცემთ და მიწასაცაო"—უთხრა გლეხებს ოჰანეზამ. გლეხებიც დათანხმდენ, მაგრამ არ გასულა ერთი წელიწადი დაგირავების შემდეგ, რომ ოჰანეზამ, ყვავილების მაგიერ, უძრავი შენობის წამოჭიმვა დაიწყო!! გლეხებმა რამდენჯერმე დაუნგრიეს კიდევაც დაწყებული შენობა, მაგრამ ოჰანეზამ სოფლის მოხელეების დახმარებით, სახლი მაინც ააშენა გლეხების კუთვნილ სახაზინო-საზოგადო მიწაზედ!.. ეს კიდევ არაფერი. წარმოიდგინეთ გლეხების განცვიფრება მაშინ, როდესაც,—როგორც პირველის ისე მეორე გლეხისაგან მიცემულ გირავნობის პირობის ქაღალდში ნახეს დაწერილი შემდეგი: „თუ რამე შენობა გააკეთო შენ ნახჩევნის მოვაჭრე ოჰანეზამ ჩემს ადგილში მე, გლეხი (პირობის წერილი ცალკ-ცალკე და სხვა-და-სხვა დროს აქვთ მიცემული) მკაჭავიშვილი ვალდებული ვარ, როგორც ორი კაცი დააფასებს, შენი შენობა იმ ფასად შევისყიდო, ჩემი მიწის გამოყიდვის დროსო". ასე სწერია, თითოეული გლეხისაგან მიცემულ პირობის ქაღალდში, მაშინ როდესაც შენობაზედ სრულებით არ იყო ლაპარაკი დაგირავების დროს!!.

ამაზედ განსაცვიფრებელი კიდევ ის არის, რომ თავიანთ მიცემულ ქაღალდში გლეხებმა ხუთ-ხუთი თუმნის მაგიერ, ოც-ოცი თუმანი ნახეს ჩაწერილი და შემოწმებული სოფლის „სუდია-მამასახლისებისაგან"!).

გვიკვირს, როგორ ჩაიწერა გლეხებისაგან მიცემულ პირობის ქაღალდში შენობის აგების უფლება? და მერე გლეხებისაგანვე ამ უფლების შესყიდვა?? გარდა ამისა—ორი წლის განმავალობაში სხვა-და-სხვა ჯარიმებს გარდა, როგორ იბარტყა ოჰანეზას ხუთ-ხუთმა თუმანმა თხუთმეტ-თხუთმეტი თუმანი, და გახდა ოც-ოცი??!

(დასასრული იქნება)

## „დროების" კორესპონდენცია

ქუთაისი, იანვრის 6-ს. ქვა-და-გუნდა ძველს წელიწადს... შეუნდოს ღმერთმა ყველა შეცდომანი... გაუმარჯოს ახალს წელიწადს. გაუმარჯოს ჩვენს კლუბებსაც. ქუთაისი ორი კლუბის პატრონია: ერთი სამხედრო კლუბი გახლავთ, საცა ძენი და ასულნი მარსისა ვარჯიშობენ ფეხების გრაციოზულ მიხვრა-მოხვრაში და მეორე სამოქალაქო კლუბი, საცა დარბაისელნი მოქალაქენი და მოხელენი ავარჯიშებენ ხელებს მწვანე სტოლზე.

ამ სამოქალაქო კლუბმა დიდი გენიოსური საშუალება მოიგონა თვისის წარმატებისათვის: რომ ბევრი წევრი შეიძინოს, სამასკარადო საღამოებზე არა წევრებისათვის დანიშნა შესვლისათვის სამი მანათი:—ეგებ ერთის საღამოს სამი მანათის გადახდას, წელიწადში თხუთმეტი მანათის მიცემა ამჯობინონო. მაგრამ შეცდა ერთგანაც და მეორეთგანაც: აღარც წევრნი მოემატენ და მასკარადსაც მოაკლდა საზოგადოება. გაგონილა სამი მანათი ერთს საღამოში, ისიც მასკარადულს საღამოში, ასეთს უფულობის დროს. თუ კლუბს სწადის წევრების შემატება, აქ უფრო სხვა ზომებით შეუძლიან იხელმძღვანელოს. ეს ადვილად მოსათავსებელი ზომები გახლავსთ ის, რომ კლუბი გახდეს უფრო საინტერესო სხვა-და-სხვა სასიამოვნო დროს გატარებით და გაუმჯობესდეს ბიბლიოთეკით.

საზოგადოდ დღესასწაულები მხიარულებით გავისტუმრეთ. სასიამოვნო დროს გატარებას ხელი მოუწყო კარგმა ტაროსმა. გაჩაღებული იყო სამასკარადო საღამოები, საცეკვარი საღამოები დიდებისათვის და ბავშვებისათვის და იოლკები.

ღორის ხორცის სიიაფემაც კარგი საქმე გვიყო. ქუთაისელებს არ ახსოვთ, რომ ამდენი დაკლული ღორი შემოეტანათ როდისმე ქუთაისის ბაზრებში; ღორის ხორცის სიიაფე უმეტესად ღარიბ ხალხს მოუხდა, რომელთაც მიეცათ შეძლება ამ ბედნიერს დღეებში შესაფერი პურის-ჭამა ჰქონოდათ.

ახალს წელს მოჰყვება ახალი ყაყანი და შეტაკება ჩვენს ქალაქის რჩევაში მოსამსახურე პირების ჯამაგირების შესახებ. ზოგნი თავს უპირებენ ჯამაგირის მოკლებას და წევრებს მომატებას, ზოგიერთთა წყალობით-კი შეიძლება როგორც თავი, აგრეთვე წევრნიც უმცირესს ულუფაზე დარჩნენ 1885 წელში, თუ კი „დარჩნენ". ჭკუაზედ უფრო ახლოა, უკანასკნელი განზრახვა შესრულდეს, რადგან ჩვენნი ესრედ წოდებულნი „დუმის ღლასნები", მაინც-და-მაინც არ შეიტკენენ თავს, თუ ეხლანდელ ქალაქის მმართველთ თავი დაუკრეს მათ. ამ ეხლანდელი მმართველების ბადლებს, ისეთს ბადლებს, რომელნიც მცირესა ზედა კმასა ჰყოფენ, ჩქარა გამოძებნიან „ღლასნები" თავიანთ შორის.

ალ. აგ.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

იანვრის 7-ს

ჰელსინგფორსი. დღეს დიდის დღესასწაულობით გაიხსნა ფინლიანდიის სეიმი.

მოსკოვი. ამაღლების ბამბეულის ქარხანაში მუშებმა არეულობა მოახდინეს, მუშა დღეების შემოკლებისა და ქირის შემცირებისა გამო. მუშებმა დასტოვეს ქარხანა და მუშაობა შესწყდა. გამოსაძიებლად წავიდა გუბერნატორი და გაგზავნილ იქმნა 200 ყაზახი. მოჯანყენი დათხოვნილ იქმნენ სრულიად ქარხნიდამ, რომელმაც ხელ-ახლავ დაიწყო მოქმედება, რაკი კანონიერი მოთხოვნილება დანარჩენის მუშებისა დაკმაყოფილებულ იქმნა. მთავრობამ აღასრულა ეს მოთხოვნილებანი და ქარხანამ ისევ დაიწყო მუშაობა.

ხარკოვი. იარმარკა გაიხსნა; საქონლები მოდის.

ნიუ-იორკი ილინოისის შტატში დაიწვა გიჟების სახლი. დაიღუპა 17 კაცი.

სტოკჰოლმი. სეიმის კრება დაიწყო.

პეტერბურგი. ვლადიკავკაზის რკინის გზის ობლიგაციებზე ხელის-მოწერა 45,500,000 მანათამდის ავიდა პეტერბურგში. ეს ფული ორჯერ მეტია მაზედ, რამდენიც საჭირო იყო; დღეს დილიდამ ხელის მოწერა მოისპო.

ჰელსინგფორსი. ხელმწიფე იმპერატორის ყოვლად უმოწყალესი სიტყვა მიმართული ჭინლიან-

დის გეთილ-შობილ წოდებისადმი შეიცავს გმაყოფილებას სახალხო განათლების წარმატებისა და მეურნეობის აღორძინებისა გამო და აცხადებს, რომ მათი უდიდებულესობა გმაყოფილია ფინლანდიის ჯარებისა, რომელნიც კარგად ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას. გარდა ამისა, სატახტო სიტყვაში ნათქვამია, რომ ფინლიანდიის შემოსავალი იმოდენად აღემატა შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას, რომ მეტი შემოსავალი შესაძლოა მოხმარდეს სხვა-და-სხვა სასარგებლო საზოგადოებრივ წარმოებას, მაშასადამე დაბრუნდება ასაკრეფლად და სახელმწიფო ხარჯის შესამცირებლად. სხვათა წინადადებათა შორის, რომელნიც მიმართულნი იქმნენ სეიმისადმი მოიხსენებიან განახ-ერთეულნი ტყეებზე, ბერძნ ბანკებზე, მეტრიული სისტემის დაარსებაზე, სათესლე დამზოგველი გასის დაწესებაზე სახელმწიფოს თავდებობით და რომელიმე რკინის გზის გაყვანაზე.

**ლონდონი.** რუსეთის და ავსტრიის ელჩებმა გუშინ გადასცეს გრენვილს თავიანთ მმართებლობათა პასუხი ინგლისის წინადადებაზე ეგვიპტეს შესახებ.

## ცნობანი

საპატიმროების დირექტორი ზ-ნი ერისთავი ამით აცხადებს, რომ ქ. ტფილისის მოქალაქეთა მიერ ვერეში მოსარჩელე ადამიანებთათვის დაარსებული საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მსხვერპლის შემოსაწირავი ლამპრობით მორიგად ყოველ კვ. ქრისტე და შაბათი.

**ეჭიმები:**

**არუთინოვი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონი**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაზინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქმისა**. ხუთშაბათობით და კვირაობით.

## რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
ღ საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით სახვარ 10 ს. 58 წ. დამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ ღ ბათუმიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით სახვარ 7 ს. 53 წ. დილ.)

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუ. | | | |
| სითის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| ქართული ფქვილისა: პირ. | | | |
| ველის ხარისხისა | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური. | | | |
| პირველი ხარის. დგამი | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორი ხარის. დგამი | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— | —1 | გ. | 7 კ. |
| ხუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— | —1 | გ. | 7 კ. |


# განცხადებანი

ვაძლევ გაკვეთილებს ყველა საგნებიდამ, სხვათა შორის ქართულის ენიდამაც. ვამზადებ ყმაწვილებს საშუალო სასწავლებელთათვის. ადრესი: ,,დროების'' რედაქციაში. (5—1)

გამოვიდა და იყიდება

# ბაშია

თხზულება აკაკისა.

**თბილისში**—ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და შავერდოვთან.

**ქუთაისს**—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. იქვე იყიდება სხვა თხზულებებიც აკაკისა. (5—5)

# ვექილი

ვიცავ ყოველგვარს სისხლის სამართლის საქმეებს. უსასყიდლოდ ვვექილობდა რჩევას ვაძლევ ღარიბთა. ვცხოვრებ ვაგზალთან, „ზოლოტოი იაკორის" სასტუმროში, ი. ა. პაცაი. (8—7)

ჟურნალი „ნობათი"-ს გამოცემა 1885 წელში.

(წელიწადი მეორე)

საყოველთაო ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

# „ნ ო ბ ა თ ი"

პედაგოგიურის ნაწილის დამატებით—მშობელთა და აღმზრდელთათვის—მომავალს 1885 წელში გამოვა იმავე პროგრამით, მიმართულებითა და სივრცით, როგორათაც 1884 წ.

**ჟურნალზე ხელის-მოწერა.** წლიური ფასი ჟურნალი «ნობათი»-სა—ქალაქში დარიგებით და გარეშე გაგზავნით, დარჩა იგივე, ე. ი. ოთხი მან. მარტო ნახევარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი ღირს ათი შაური.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიათ გამოგზავნონ: თავ-და-პირველად ორი მან. და დანარჩენი ორი მანათიც—მაისში. რომელთაც ამ რიგად ხელის-მოწერა ჰსურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

**ხელის-მოწერა** მიიღება: თბილისში—ჟურნალი «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილების სახლში № 7 და შავერდოვის წიგნის სააგენტოში. ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში—ეკ. ფურცელაძესთან და თელავში—ივ. როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала „Нобати".*

(5—5) რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღულაძე.

სამგვარი სიყვარული

მოთხრობა

აკაკი წერეთლისა

(„დროების" რედაქციის გამოცემა.)

ფასი 30 კაპ.

(ვინც ოც გგზემპლიარზედ მეტს იყიდის ერთბაშად, 10% დაეთმობა.)

წიგნი იყიდება **თბილისში** ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტოში და ჩარკვიანის მაღაზიაში. **ქუთაისში** ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნათაძესთან, თელავში, საზოგადოების დეპოში. ერთბაშად ყიდვა შეიძლება აგრეთვე «დროების» რედაქციაშიაც. (10—5)

# СВѢТОЧЪ

## ЕЖЕДНЕВНАЯ ПОЛИТИЧЕСКАЯ И ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

**выходитъ въ Москвѣ, безъ предварительной цензуры, съ 1-го января 1885 года.**

Сознательная потребность слѣдить изо дня въ день за тѣми явленіями политической и общественной жизни, которыя, быстро смѣняясь, оставляютъ за собою болѣе или менѣе глубокій слѣдъ, все сильнѣе и настоятельнѣе ощущается въ нашемъ обществѣ и съ высшихъ слоевъ его распространяется на низшіе. **«Свѣточъ»**, имѣя программу общую со всѣми большими газетами, постарается удовлетворять этой потребности во всемъ ея объемѣ. Что касается направленія, выраженіемъ котораго служитъ критическая оцѣнка сообщаемыхъ фактовъ, то, избѣгая громкихъ словъ, редакція можетъ только обѣщать своимъ читателямъ, что **«Свѣточъ»** будетъ честно служить истинѣ.

**Подписная цѣна съ доставкой и пересылкой:** на годъ **7 руб.** на полгода **4 руб.**

**Требованія адресуются:** въ редакцію газеты **«Свѣточъ»** (Москва, Петровка, д. Кредитн. Общ., при типографіи **И. И. Родзевича**).

ВЪ ГОР. БАКУ

# ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ГАЗЕТУ

# „КАСПІЙ"

На 1885 годъ.

ПЯТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ.

„КАСПІЙ" ВЫХОДИТЪ ЕЖЕДНЕВНО, КРОМѢ ДНЕЙ ПОСЛѢПРАЗДНИЧНЫХЪ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ пересылкой въ другіе города: на годъ 8 руб. 50 коп.; на полгода 5 руб.; на три мѣсяца 3 руб.; на 1 мѣсяцъ 1 руб. 50 коп.

Иногородные обращаются: **Въ редакцію газ. „Каспій", въ Баку.**

Редакція, по прежнему, будетъ стараться знакомить своихъ подписчиковъ со всѣми новостями мѣстнаго нефтянаго дѣла, а также давать точныя свѣдѣнія о добычѣ нефти на промыслахъ и о вывозѣ ея продуктовъ моремъ и по желѣзной дорогѣ. (3—2)


*Доз. ценз. Тифлисъ, 8 Января 1885 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი